



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2018 წლის -----

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლისმე-2 ნაწილის, 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;

ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები მე-2 და მე-3 მუხლების თანახმად.

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-4 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ზ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

თ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე-10 მუხლის თანახმად;

კ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე-11 მუხლის თანახმად;

ლ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-12 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია მე-13 მუხლის თანახმად;

ბ) განათლება მე-14 მუხლის თანახმად;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კულტურა, რელიგია და ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები მე-15 მუხლის თანახმად;

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-16 მუხლის თანახმად;

ვ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მე-17 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები III თავის (18-23 მუხლები) შესაბამისად,

5. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 12 იანვრის №1 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 16/01/2018, 190020020.35.113.016321).

6. დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

თავი I ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	29381.5	28401.0	9450.5	18950.5	23936.8	0.0	23936.8
გადასახადები	5697.3	6350.0	0.0	6350.0	7000.0	0.0	7000.0
გრანტები	20941.5	19015.6	9450.5	9565.1	13566.8	0.0	13566.8
სხვა შემოსავლები	2742.7	3035.4	0.0	3035.4	3370.0	0.0	3370.0
ხარჯები	21102.9	17355.4	431.3	16924.1	18570.6	0.0	18570.6
შრომის ანაზღაურება	3226.6	3409.8	0.0	3409.8	3540.6	0.0	3540.6
საქონელი და მომსახურება	2588.1	2258.8	0.0	2258.8	2432.0	0.0	2432.0
სუბსიდიები	9549.6	9424.6	0.0	9424.6	10497.2	0.0	10497.2
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1173.4	1010.9	0.0	1010.9	1150.4	0.0	1150.4
სხვა ხარჯები	4555.2	1251.3	431.3	820.0	930.4	0.0	930.4
საოპერაციო სალდო	8288.6	11045.6	9019.2	2026.4	5386.2	0.0	5386.2
არაფინანსური	14337.4	15528.1	10247.9	5280.2	5366.2	0.0	5366.2

აქტივების ცვლილება							
ზრდა	15637.4	15778.1	10247.9	5530.2	5616.2	0.0	5616.2
კლება	1300.0	250.0	0.0	250.0	250.0	0.0	250.0
მთლიანი სალდო	-6048.8	-4482.5	-1228.7	-3253.8	20.0	0.0	20.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-6069.1	-4482.5	-1228.7	-3253.8	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	6069.1	4482.5	1228.7	3253.8	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	6069.1	4482.5	1228.7	3253.8	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	30681.5	28651.0	9450.5	19200.5	24186.8	0.0	24186.8
შემოსავლები	29381.5	28401	9450.5	18950.48	23936.8	0.0	23936.8
არაფინანსური აქტივების კლება	1300.0	250.0	0.0	250.0	250.0	0.0	250.0
გადასახდელები	36750.6	33133.52	10679.2	22454.32	24186.8	0	24186.8
ხარჯები	21102.9	17355.39	431.2813	16924.11	18570.6	0	18570.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	15637.4	15778.13	10247.92	5530.205	5616.2	0	5616.2
ნაშთის ცვლილება	-6069.1	-4482.52	-1228.68	-3253.83	0	0	0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 23936,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	29,381.5	28401	9450.5	18950.48	23936.8	0.0	23936.8
გადასახადები	5,697.3	6350	0.0	6350	7000	0.0	7000
გრანტები	20,941.5	19015.6	9450.5	9565.083	13566.8	0.0	13566.8
სხვა შემოსავლები	2,742.7	3035.4	0	3035.4	3370	0	3370

მუხლი 4. ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ბიუჯეტის გადასახადები 7000,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	5,697.3	6,350.0	0.0	6,350.0	7,000.0	0.0	7,000.0
საშემოსავლო გადასახადი	1,650.0	1,350.0		1,350.0	0.0	0.0	0.0
ქონების გადასახადი	4,047.3	5,000.0	0.0	5,000.0	7,000.0	0.0	7,000.0
საქართველოს საწარმოთა კონცეზი	2,982.3	5,000.0		5,000.0	6,720.0		6,720.0

(გარდა მიწისა)							
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	125.0	0.0	0.0	0.0	80.0	0.0	80.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	420.0	0.0	0.0	0.0	100.0	0.0	100.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	520.0	0.0	0.0	0.0	100.0	0.0	100.0
სხვა გადასახადები (საშემოსავლო)	0	0			0		

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბიუჯეტის გრანტები 13566,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	20,941.5	19,015.6	9,450.5	9,565.1	13,566.8	0.0	13,566.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	70.7	11.1		11.1	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	20,870.8	19,004.5	9,450.5	9,554.0	13,566.8	0.0	13,566.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	9,611.0	9,554.0	0.0	9,554.0	13,566.8	0.0	13,566.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	9,301.0	9,301.0		9,301.0	13,313.8		13,313.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	260.0	253.0		253.0	253.0		253.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	50.0	0.0			0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	11,259.8	9,450.5	9,450.5	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	8,842.1	7,550.5	7,550.5		0.0	0.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0			0.0		
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0			0.0		
სტიქიის შედეგების	2,417.7	1,900.0	1,900.0		0.0	0.0	

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3370,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	2742.7	3035.4	0.0	3035.4	3370.0	0.0	3370.0
შემოსავლები საკუთრებიდან	835.4	575.0	0.0	575.0	700.0	0.0	700.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	641.1	1240.4	0.0	1240.4	1320.0	0.0	1320.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1110.0	900.0		900.0	1000.0		1000.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	156.2	320.0		320.0	350.0		350.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 18570,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	21102.9	17355.4	431.3	16924.1	18570.6	0.0	18570.6
შრომის ანაზღაურება	3226.6	3409.8	0.0	3409.8	3540.6	0.0	3540.6
საქონელი და მომსახურება	2588.1	2258.8	0.0	2258.8	2432.0	0.0	2432.0
სუბსიდიები	9549.6	9424.6	0.0	9424.6	10497.2	0.0	10497.2
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1173.4	1010.9	0.0	1010.9	1150.4	0.0	1150.4
სხვა ხარჯები	4555.2	1251.3	431.3	820.0	930.4	0.0	930.4

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5366,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

1. განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5616,2 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 250,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,975.7	15,528.2	10,248.0	5,280.2	5,366.2	0.0	5,366.2
ზრდა	12,294.0	15,778.2	10,248.0	5,530.2	5,616.2	0.0	5,616.2
კლება	1,318.3	250.0	0.0	250.0	250.0	0.0	250.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი	2018 გეგმა	2019 წლის გეგმა
			სულ	სულ
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,701.2	4,828.3	5,080.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4,594.2	4,618.3	4,950.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4,294.3	4,268.3	4,600.0
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	299.9	350.0	350.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	70.5	0.0	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	70.5	0.0	0.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	36.5	210.0	130.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	158.8	148.0	143.0

7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	158.8	148.0	143.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,758.2	3,914.0	1,165.0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	72.0	0.5	0.0
7045	ტრანსპორტი	72.0	0.5	0.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,829.2	648.9	585.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	3,829.2	648.9	585.0
705	გარემოს დაცვა	4,857.0	3,264.6	580.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	38.0	15.1	1,380.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	38.0	15.1	1,380.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	15,380.0	15,530.1	6,687.4
7061	ბინათმშენებლობა	3,188.7	2,100.0	2,126.2
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	11,295.0	11,565.1	2,954.9
7063	წყალმომარაგება	503.1	590.0	550.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	393.2	1,275.0	1,056.3
707	ჯანმრთელობის დაცვა	98.5	115.2	110.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	98.5	115.2	110.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,915.8	3,613.0	4,035.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	785.7	1,181.0	1,563.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,935.9	2,200.9	2,272.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	194.2	231.1	200.0
709	განათლება	3,201.0	3,500.0	4,000.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	3,078.0	3,400.0	3,800.0
7092	ზოგადი განათლება	123.0	100.0	200.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	123.0	100.0	200.0
710	სოციალური დაცვა	1,488.8	1,469.8	1,585.5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	146.6	139.9	213.9
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	1,110.6	841.9	851.6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	231.6	488.0	520.0
	სულ	36,740.3	33,133.5	24,186.8

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 350,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების საფუძველზე რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობასა და მიზნობრიობის შესახებ.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 253,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 110,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 143,0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ამ დადგენილების მე-16 მუხლის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე დონე) შემდეგი რედაქციით:

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის ბიუჯეტი: 9 232 400 ლარი

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ძირითად პირობად დღეისათვის კვლავ რჩება საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა პრიორიტეტი ითვალისწინებს გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციას, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობას, კეთილმოწყობის ღონისძიებების ჩატარებას, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და მშენებლობას, ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებისთვის.

13.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ბიუჯეტი: 585 000 ლარი.

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, გაგრძელდება მუშაობა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოხდება გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის შენარჩუნება.

13.1.1 გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა(პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 500 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა მნიშვნელობის გზების მდგომარეობის შენარჩუნება, სავალი ნაწილის, ტროტუარებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება და სანიაღვრე არხების გაწმენდა. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

გზების მოხრეშვა შრომაში, ნატანებში, თხინვალში, სილაურში, კონჭკათში, ჯუმათში, ჭანიეთში, ასკანაში, მთისპირში, ბახვში, ურეკი, ბაილეთში, ბოხვაური, გურიანთაში, დვაბზუში, ვაკვიჯვარში, ლიხაურში, მაკვანეთში, მელექე დურში, მერიაში, ნაგომარში, სოფელ ოზურგეთში, შემოქმედში, ცხემლისხილში, ძიმითში, ნარუჯაში, ლაითური, ნასაკირალში. საერთო მოცულობა - 8700 კვ.მ	200000
გზების რეაბილიტაცია:	
შრომა. ვაკე. ბეტონის შემოვლითი გზა-0.200კმ X3 მ X0,15სმ	34000
ბაილეთი. ბეტონის გზა-0.200 კმX3 მ X0,15სმ	34000
მაკვანეთი. ბეტონის გზა-0.200 კმX3 მ X0,15სმ	34000
თხინვალი. ბეტონის გზა-0.180 კმX3 მ X0,15სმ	31400
ჯუმათი. ბეტონის გზა-0.150 კმX3 მ X0,15სმ	26000
კონჭკათი. ბეტონის გზა-0.200 კმX3 მ X0,15სმ	34000
კონჭკათი. ბეტონის გზა-0.200 კმX3 მ X0,15სმ	23386

ქ.ოზურგეთში, გორგაძის ჩიხში და 9 აპრილის (21 გრძ.მ) ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა გორგაძის ქუჩაზე	6614
გურიის ქუჩაზე (პსპ აფთიაქის წინ) არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები-4,7 გრძ.მ (40*40) (ნაწილობრივ აღდგენა 50%)	4181.56
ქ. ოზურგეთში ნინოშვილის ქუჩის დასაწყისში არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები 84,3 გრძ.მ (50*50)	42111.17
ლესელიძის ქუჩის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - 80 გრძ.მ(60*60 გრძ.მ)	24626.35
დუმბაძის ქუჩის ჩიხის და ლესელიძის ქუჩის გადაკვეთაში არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები-32 გრძ.მ (60*60)	5680.92
	500000

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული გზების, მათ შორის ისტორიულ და ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი (შიდა გზების მოხრეშვა- მოსწორება ინერტული მასალით პრობლემური გზების მონაკვეთებზე სავარაუდო მოცულობით 8700 კბ.მ); შიდა გზების კრიტიკულ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა სავარაუდო სიგრძით 1,13 კმ;
- გაუმჯობესებული მიმოსვლა (გადაადგილებისათვის საჭირო დროის შემცირება რეაბილიტაციის შემდეგ მოცემულ მონაკვეთზე);

13.1.2 მუნიციპალური ტრანსპორტი (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრანსპორტი“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 85 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის უფასო მომსახურების გაწევა.

ავტოპარკი შედგება 5 ერთეული მოძველებული ავტობუსისგან, რომლებიც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტში შემავალი 1 ქალაქის, 4 დაბისა და 74 სოფლის

მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიისა და პედაგოგების მგზავრობის შეღავათიან, სრულფასოვან მომსახურებას. მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება 2 ერთეული ავტობუსის შეძენა, რომელიც მოემსახურება ქალაქ ოზურგეთის და მიმდებარე უახლოესი სოფლების მოსახლეობას. ორგანიზაცია ემსახურება 6 სამარშრუტო ხაზს:

1. ოზურგეთი-სოფ.შემოქმედი - 9 რეისი დღეში
2. ოზურგეთი-სოფ.ვაკიჯვარი - 4 რეისი დღეში
3. ოზურგეთი-სოფ.ლიხაური - 6 რეისი დღეში
4. ოზურგეთი-დაბა ლაითური - 2 რეისი დღეში (სამუშაო დღეებში)
5. ოზურგეთი-დაბა ნარუჯა - 1 რეისი დღეში (სამუშაო დღეებში)
6. ოზურგეთი-ასკანა - 3 რეისი დღეში

მოსალოდნელი შედეგები:

- მგზავრობა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- გადაყვანილ მგზავრობა რაოდენობის ზრდა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა;

13.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ბიუჯეტი: 6 111 100 ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მოწესრიგებას, რომლის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების შესამცირებლად გარე განათების ქსელში განხორციელდება ფოტონების დამონტაჟება. მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენისა და შიდა ქსელის რეაბილიტაცია, ახალი წყალსადენების მშენებლობა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება. სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობების (გაბიონებისა და წყალამრიდების) და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

13.2.1 კომუნალური მომსახურების ცენტრი (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2 126 200 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ზღვისპირა საკურორტო ზოლში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, დამსვენებელთა და ტურისტთა მაქსიმალურად მოზიდვის მიზნით. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

გაგრძელება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმის პროცესი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია. მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება; არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებსა და მის შემოგარენში გამწვანების სამუშაოების ჩატარება, ხეების გადაბეღვა–ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა–დამუშავება და გატანა. მცენარეთა შესყიდვა დარგვის თანმდევი მომსახურებით.

მოსალოდნელი შედეგები:

- განათებული მუნიციპალიტეტი;
- მოსახლეობის გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- 1 ქალაქის , 4 დაბის, 28 ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე განთავსებული 1239 სანაგვე ურნის მომსახურება , ნარჩენები ტონებში 11985 , დაგვილი და დასუფთავებული ტერიტორია საერთო ფართობით 238400 კვ.მ ;
- ურეკი - შეკვეთილის ტერიტორიაზე შეიცვლება 365 ცალი ეკო ნათურა დიოდური სანათი მოწყობილობით. მოწესრიგდება აღრიცხვის კვანძი. შეიცვლება 10000 მ სადენი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში არსებული 8990 ცალი სანათი მოწყობილობის მუშაობის უზრუნველყოფა;
- წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული 1239 ცალი სანაგვე ბუნკერის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება;
- მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ინტენსივობის მაჩვენებელი (მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოხდება ნაგვის გატანა ყოველდღიურად, ტურისტულ სეზონზე ურეკი -შეკვეთილის მონაკვეთზე დღეში 2-ჯერ.);
- მოწესრიგებული და მოვლილი სასაფლაოების რაოდენობა (120 სასაფლაოსთან მოწესრიგებული მისასვლელი გზები, დასუფთავებული სასაფლაოების ტერიტორია) ;
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა (220-250 კბ.მ. ნაგავის გატანა ყოველდღიურად,წლიურად დაახლოებით 90000 კბ.მ -დან 95000 კბ.მ-მდე. საერთო წონით 11985 ტონამდე);
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი (ქალაქის ტერიტორიაზე 35 ჰა ტერიტორიის დაგვა - დასუფთავება ყოველდღიურად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში ტერიტორიების დასუფთავება).

13.2.2 ინფრასტრუქტურის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2 954 900 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, მუნიციპალური განვითარების ფონდის, გრანტებითა და სხვა წყაროებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ასევე, მუნიციპალიტეტის მთავორიანი რელიეფის მქონე სოფლებში რთულ მონაკვეთებზე ბეტონის გზის საფარის მოწყობას.

ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების (შემოქმედელის -2267 გრმ.მ; საფო მგელაძის-150 გრმ.მ, ლერმონტოვის-305 გრმ.მ. რეაბილიტაცია.	300,000
ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ჯუმათის ცენტრის გავლით გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი) (2400 გრმ.მ)	100,000
ოზურგეთი-ნინოშვილი-ლესას გზიდან ბაილეთის ცენტრის გავლით გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი) (2600 გრმ.მ).	100,000

ოზურგეთი-ნატანები-ურეკის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფელ შრომის (ეკალდიდი)-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (I ეტაპი) (3000 გრძ.მ).	114,244
სოფ.გაღმა დვაბზუ-ბახვის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (2300 გრძ.მ)	80,000
ოზურგეთი-ნატანები-ურეკის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან, სოფ ხვარბეთის გავლით კონჭკათის (კატისციხე) საზღვრამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები -4868 გრძ.მ	112964
სოფელ ცხემლისიხიდი-სოფ.ვაკიჯვრის გზიდან ბაღდადის ეკლესიამდე დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1662 გრძ.მ.	83074.8
სოფელ დვაბზუს ცენტრიდან სოფელ ბოხვაური(ჭალას) სასაფლაომდე სარეაბილიტაციო სამუშაოები 1387 გრძ.მ.	36135
რეგონდების თანადაფინანსება	926,417.3

ზედამხედველობა (რეალექსპერტი)	500000
შევჩენკოს ქუჩა (283,5 გრძ.მ)	108520.45
პუშკინის ქუჩა (წითაიშვილის ქუჩამდე) (125,8 გრძ.მ).	41751.99
მაიაკოვსკის ქუჩა (ბეტონის გზამდე).(101 გრძ.მ).	27264.95
გურიელის ქუჩა (412,8 გრძ.მ)	131135.11
ანდლულაძის ქუჩა (217 გრძ.მ)	44047.7
ოზურგეთი-შემოქმედი-გომისმთის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან იპოდრომის შესასვლელამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (380 გრძ.მ)	170350
სამხატვრო სკოლის შენობა.	180000
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში სასამელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები	193445
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოზურგეთში კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია (I ეტაპი)	631967.5

	2 028 482.7
სულ ჯამი :	2 954 900

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აღდგენილი და ახლადაშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა;
- დაგებული ასფალტო - ბეტონის გზის საფარის რაოდენობა (რეგ. ფონდებით თანადაფინანსების ფარგლებში განხორციელება 14-16 კმ სიგრძის გზის ასფალტო-ბეტონის საფარით მოწყობა);
- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

13.2.3 ელექტროენერჯის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 550 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია. ამ ხარჯებში აგრეთვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის და გარე განათების ხარჯების დაფარვა

მოსალოდნელი შედეგი:

- მუნიციპალიტეტის იერსახის გალამაზება და მოსახლეობისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნა;
- განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება;

- კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება;
- მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

**13.2.4 წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია
(პროგრამული კოდი 03 02 04)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
შპს „სატის“;

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 480 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის სოფლების აბსოლუტურ უმრავლესობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება მთისპირი-ასკანის, ლაითურის, ნასაკირალისა, ლიხაურისა და ჯუმათის წყალმომარეგების სისტემები, რომელთა აღდგენა-რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდების ღონისძიებების უზრუნველყოფა ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

მოსალოდნელი შედეგი:

- მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისათვის უსაფრთხო სასმელი წყლის მიწოდება;
- ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის შექმნა და არსებულის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და განვითარება;
- სასმელი წყლის ხარისხის დამტკიცებულ რეგლამენტთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წლის განმავლობაში მოხდება სათავე ნაგებობების სოფელში არსებული ქსელების რეაბილიტაცია;
- რეაბილიტირებული წყალსადენის ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ სასმელი წყლით მოსარგებლე დარეგისტრირებული აბონენტების რაოდენობა ყველა ობიექტზე იქნება დაახლოებით 1960 აბონენტი;

**13.3 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები
(პროგრამული კოდი 03 03)**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 1 380 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ მოხდება ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმების და შემოსავლების ზრდას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას მუნიციპალური ქონების ეფექტური გამოყენების გზით. ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ფერმერების სწავლებას, გამოცდილების გაზიარებას ურთიერთშეხვედრების ორგანიზების საშუალებით. კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური სარგებლის მიღების საწინდარი იქნება.

ზემოთხსენებულ საკითხებზე დაიხარჯება 30 000 ლარი.

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით 2019 წელი			
დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
თბილის კულტურისათვის 4 (ოთხი) სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა	4	1250	5,000
კონფერენციის მომზადება თემაზე „ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურის წარმოება“	1	2100	2,100
კონფერენციის მომზადება თემაზე „კვივის და სხვა კენკროვანი კულტურების წარმოება“	1	2,100	2,100
ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმი	1	3,000	3,000

მესაქონლეობის დარგის ფერმერებთან შეხვედრა ფერმერულ მეურნეობაში პირუტყვის გამოსაკვებად სილოსისა და საკვები ჭარხლის გამოყენების შედეგების გასაცნობად	1	0	დაფინანსების გარეშე
მონიტორინგის ჩატარება მუნიციპალიტეტის სოფლებში 2018 წელს გაშენებული სტევის ნერგების განვითარებაზე და ნარგავების ქსელის გაფართოება	1	0	დაფინანსების გარეშე
შეხვედრების ჩატარება მოსახლეობისათვის ქვეყანაში მოქმედი პროგრამების გაცნობის მიზნით	1	0	დაფინანსების გარეშე
რესპუბლიკურ და მუნიციპალურ დონის დიებებში ფერმერთა ჩართულობის ხელშეწყობა	1	2,000	2,000
მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში განხორციელდეს წარმომადგენლების ან მათი თანაშემწეების მომზადება თხილის და სხვა კულტურების მავნებელ- დაავადებებისაგან დაცვის ღონისძიებების და ფენოკალენდარული სქემის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის საკონსულტაციო მომსახურების განხორციელების მიზნით.	1	6,000	6,000
ვიზიტი ღვინის გზის ორგანიზატორებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით	1	1,500	1,500
გაუთვალისწინებელი ხარჯები, სხვა სახის ეკონომიკური მხარდაჭერა		7300	7 300
მივლინება	1	1,000	1,000
სულ:			30 000

2018 წლის განმავლობაში მოხდა მუნიციპალიტეტის ყველა ტერიტორიულ ერთეულში მოქალაქეების გამოკითხვა, რომლის დროსაც გამოიკვეთა აქტუალური პრობლემები (ბეტონის გზები, გარე განათების მოწყობა, მოსაცდელეების მოწყობა, სტადიონების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის ქსელების მოწყობა, ადმინისტრაციულ ცენტრებში სკვერების კეთილმოწყობა და სხვა) შესაბამისად მერიამ მიიღო გადაწყვეტილება მოხდეს ყველა დაბისთვის და სოფლისთვის თანხის იმ პრინციპით განაწილება, როგორც ეს ხდებოდა მთავრობის მიერ გამოყოფილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. უშუალოდ ამ ღონისძიებებისათვის განსაზღვრულია 1 350 000 ლარი. ყველა ტერიტორიულ ერთეულში ჩატარდა საერთო კრებები,

შედგა შესაბამისი ოქმები, რომლის შესაბამისად მოსახლეობამ განსაზღვრა ის ძირითადი მიმართულებები, რაშიც უნდა დაიხარჯოს გამოყოფილი თანხები.

N	ადმინისტრაციული ერთეული	პრიორიტეტული პროექტები	გამყოფილი თანხა
1	დაბა ლაითური	მე-6 დასახლება 60 კვ.მ ბეტონის გზის მოწყობა, მე-9 დასახლებაში ბეტონის გზის მოწყობა. 21, 22 და 2 დასახლებაში ატრაქციონების მოწყობა, მე-3 დასახლებაში ძველი პარკის აღდგენა.	55632
2	დაბა ნარუჯა	დაბა ნარუჯის ცენტრის კეთილმოწყობა, საერთო საცხოვრებლებისთვის საკანალიზაციო მილების შექმნა, შიდა გზების მოხრეშვა.	44170
3	დაბა ნასაკირალი	პირველი რაიონის ეზოს მოპირკეთება, საბავშვო ბაღში ატრაქციონის მოწყობა. ძირითადად შიდა გზების ბეტონის საფარით მოპირკეთება (აღნიშნულია უბნებზე კონკრეტული მონაკვეთები), არხების მოწყობა . ცენტრში სკვერის შეღობვა და განათების მონტაჟი.	49531
4	დაბა ურეკი	გარე განათების მონტაჟი, გასართობი პარკის მოწყობა, ტრენაჟორების დადგმა, ბეტონის გზის დაგება წვერმაღალა - გარე განათების მონტაჟი, ბეტონის გზის დაგება	ურეკი 16305 წვერმაღალა 8372
5	ასკანა	ადმინისტრაციული შენობის, ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა, შექმნილ იქნას მაგიდის ჩოგბურთისთვის საჭირო ინვენტარი, მგზავრთა მოსაცდელის, მინი სპორტული მოედნის მოწყობა. ეწრის ტერიტორიაზე გარე განათების მონტაჟი , სოფ. მზიანში დაზიანებული გზის რეაბილიტაცია.	ასკანა 15351 ეწერი 7800 მზიანი 9611
6	ბაილეთი	პირველ ბრიგადაში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა, კბილიანი მავთულის შექმნა 1100მ. უჟანგი ბადე-ლოზე 60მ, თავისი ბურჯებით, მილხიდის მოწყობა ჭანიეთურის უბანში. გარე განათების ლამპიონი 20ც. თავისი ელ. სადენებით. პირველი და მეორე ბრიგადის დამაკავშირებელი ხიდის მოწყობა, მილხიდი ახალსოფლის უბანში.	ჭანიეთური 5406 ბაილეთი 13457 ახალსოფელი 15673
7	ბახვი	გიგო შარაშიძის პარკის შეღობვა-რეაბილიტაცია, ქვედა ბახვის ცენტრში არსებული სკვერის შეღობვა-რეაბილიტაცია, ინტერნეტ კაფის მოწყობა, სოფ. მშვიდობაურში ჟღერიების უბანში 700მ. სიგრძის სასმელი წყლის მილებისა და განათების მოწყობა .	ქვედა ბახვი 19402 ბახვი 26917 მშვიდობაური 17651

8	ბოხვაური	ბოხვაურის ცენტრში სკვერის მოწყობა, ასევე ჭალა ბოხვაურის უბანში სკვერის და ატრაქციონების მოწყობა .	ბოხვაური 30313 ჭალა 13719
9	გურიანთა	გურიანთის ცენტრში მოეწყოს დასასვენებელი სკვერი, დაემატოს 30ც გარე განათების ბოძი და ფარი. ციხისფერდში - მოეწყოს 3 არტეზიული ჭაბურღილი, დაემატოს 40ც. გარე განათების ნათურა. საყანე ფართობში გზის შეყვანა	გურიანთა 34852 ციხისფერდი 15292
10	დვაბზუ	გარე განათების დამონტაჟება, გაღმა დვაბზუს სტადიონის რეაბილიტაცია და ნათურების დამონტაჟება, სკოლასთან და ბაღთან მწოლიარე პოლიციელის მოწყობა, დაზიანებული ხიდის და ცხურის მოწყობა, გაღმა დვაბზუში გარე განათების მოწყობა, დვაბზუს „ნასაკირალში“ გარე განათების მოწყობა.	დვაბზუ 32577 გაღმა დვაბზუ 17889
11	ვაკიჯვარი	სოფლის ცენტრში ამორტიზებული შენობების დემონტაჟი და დასასვენებელი სკვერის მოწყობა, ვაკიჯვარის სასაფლაოს შეღობვა, მოსაცდელელების მოწყობა, სოფ. ფამფალეთში ცენტრის კეთილმოწყობა.	ვაკიჯვარი 18413 ფამფალეთი 16555
12	თხინვალი	სოფლის ცენტრში არსებული მინი სტადიონის შეკეთება და კეთილმოწყობა, გარე განათების მონტაჟი.	19557
13	კონჭკათი	გარე-განათების ლამპიონების მონტაჟი.	კონჭკათი 27132 განთიადი 13957
14	ლიხაური	სოფლის ცენტრის დაგეგმარება და კეთილმოწყობა, ოქროს მუხურო-ნიაბაურის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია, ცენტრალური ხიდის მოწესრიგება მოაჯირით და განათებით, გაბმულა ხიდებზე განათების მოწყობა, სოფლის ცენტრში არსებული საპირფარეშოს რეაბილიტაცია და ადმინისტრაციულ შენობაში საპირფარეშოს მოწყობა. ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია, ყოფილი ჩაის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლების ეზოს შეღობვა, მილხიდების შეცვლა.	ლიხაური 17532 კვაჭალათი 18962 ნიაბაური 24630 აჭი 5430

15	მაკვანეთი	სოფლის ცენტრში მოეწყოს დასასვენებელი სკვერი, ადმინისტრაციულ შენობაში შეიცვალოს ფანჯარა და კარი .სოფლის ამბულატორიისთვის შეძენილ იქნას წყალსაქაჩი (ე.წ. ტვინიანი) ტუმბო	ქვემო მაკვანეთი 13004 ზემო მაკვანეთი 30051 გოგოეთი 7443
16	მელექედური	სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა ომში დაღუპულთა მემორიალის აღდგენა.მესამე ბრიგადაში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა	31540
17	მერია	მერია-გოგორეთის გზის მოასფალტება,ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა თავისი ცხაურით,გარე განათების მოწყობა,ნაღობილევი -მესამე უბანში გზების მოასფალტება და გარე განათების მოწყობა.ხვარბეთი - პირველ, მესამე და მეოთხე უბანში გზის მოასფალტება და გარე განათების მოწყობა.ჭახვათა -გარე განათების მოწყობა	მერია 33792 ნაღობილევი 19533 ხვარბეთი 19426 ჭახვათა 4798
18	მთისპირი	მთისპირი-სნიაღვრე არხის და მილხიდის მოწყობა,სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე განათების მონტაჟი.ოქროსქედი- მოსაცდელის და გარე განათების მოწყობა. ვანისქედი- წყლის სისტემის რეაბილიტაცია,გარე განათების მოწყობა.უკანავას უბანი -მოსაცდელის და გარე განათების მოწყობა.	მთისპირი 8384 ოქროს ქედი 6049 ვანის ქედი 9039 უკანავა 5620
19	ნაგომარი	შიდა სასოფლო გზებზე გარე განათების ნათურების დამონტაჟება და ნაშთის არსებობის შემთხვევაში მოხდეს წისქვილის გამრიცხველიანება.	ნაგომარი 9528 ქანაური 8098 მაღალი ეწერი 8217 შუაისწარი 9051
20	ნატანები	გზების შეკეთება ბეტონის საფარით რამდენიმე უბანში, წყლის გადაამყვანი მილების შექმნა	ზემო ნატანები 33506 ქვემო ნატანები 61851 შეკვეთილი 5323
21	სოფ.ოზურგეთი	სოფლის მეორე სასაფლაოს შეღობვა,ცენტრის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღში წყლის ჭაბურღილის მოწყობა, გარე განათების ლამპიონების დამატება,მილ-ხიდების მოწყობა.	35758

22	სილაური	გარე განათების 25ც ფარის და 1500 მეტრი კაბელის შექმნა. 200 მეტრიანი გზის მოხრეშვა, 250 მ მილის(პოლდიუმა) შექმნა, საყანე ფართობისთვის კბილიანი მავთულის შექმნა, წყლის მილების შექმნა, ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობა, გამწვანება, შეღობვა. საპირფარეოს რეაბილიტაცია, მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია, სოფლის ცენტრში სასმელი წყლის - ჭის მოპირკეთება.	26298
23	შემოქმედი	შემოქმედის თემში 47ც. გარე განათების ფარის მოწყობა. კვირიკეთი- შიდა სარწყავი არხების აღდგენა, მილხიდის მოწყობა. წითელმთა- მემორიალის და მცირე ზომის პარკის მოწყობა, მილხიდის მოწყობა. შემოქმედი-შიდა სარწყავი არხების და სათავეების მოწყობა, ფათარის უბანში მოსაცდელის მოწყობა, მილხიდების მოწყობა, გორისფერდში წისქვილის აღდგენა, ამბულატორიაში წყლის მილების შეცვლა, ადმინისტრაციულ შენობაში კაბინეტის რემონტი საოფის ავეჯის შექმნა, პარკის ღობის შეღებვა.	კვირიკეთი 9182 წითელმთა 18259 შემოქმედი 31802 გონების კარი 8825 გომი 14136
24	ცხემლისხიდი	სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა, გარე განათების მონტაჟი. სოფ. ბაღდადში - გარე განათების ქსელის დამატება, მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა, წყლის სისტემის და მილხიდების რეაბილიტაცია	ცხემლისხიდი 17115 უჩხუბი 8991 ბაღდადი 19021
25	ძიმითი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია, საყანე ფართობის შეღობვა, კულტურის სახლის ეზოს შეღობვა ბაგა-ბაღისთვის სკვერის და სათამაშოების მოწყობა, გარე განათების დამონტაჟება.	ზემო ძიმითი 18294 ქვემო ძიმითი 19724 ნასაკირალი 5906
26	ჭანიეთი	პირველი ბრიგადა - ხიდის რეაბილიტაცია მეორე ბრიგადა- სასმელი წყლის და მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია; მესამე ბრიგადა- სასაფლაოზე ელექტრო ენერჯის მიყვანა, მეხუთე ბრიგადა- სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა. ბეტონის საფარის მოწყობ. მეოთხე ბრიგადაში მილხიდის რეაბილიტაცია, ამბულატორიაში წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოების შესრულება.	ჭანიეთი 16757 ვამტიალი 5751 ქაქუთი 8968

27	ჯუმათი	ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაცია, ბოგილი უბანში ლაშის დელეზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია, გარე განათების კაბელის და ლამპიონების დამატება 3კმ. კაბელი 40ც ლამპიონი იანეთის უბანში გზების აღდგენა, 20ც ეკლიანი მავთულის შეძენა, საბავშვო ბაღის ეზოს მოწესრიგება, საქანელების დადგმა, მოსაცდელეზე სახურავის შეცვლა, სკოლაში 60კვ.მ კაბინეტისთვის იატაკის შეცვლა	იანეთი 8515 ბოგილი 8884 ჯუმათი 9647 ძირი ჯუმათი 9563
28	შრომა	სოფლის შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობა.	შრომა 15899 მოცნარი 18199 ხრიალეთი 34471 ვაკე 14315 ზედუბანი 5728 ორმეთი 15888
	სხვა საჭიროებებისათვის		7763
	სულ		1 350 000

მოსალოდნელი შედეგი:

- მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული პრობლემების ნაწილობრივ მოგვარება;
- ბეტონის გზების დაგება პრობლემურ უბნებში;
- სასმელი წყლის ქსელების და გარე განათების ქსელის ნაწილობრივ რეაბილიტაცია/აღდგენა.
- სკვერებისა და სტადიონების მოწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- თანხების განკარგვის და ხარჯვის მიზნობრივად წარმართვაში მოქალაქეების მათხიმაღური ჩართვა;
- გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეების გაზრდილი რაოდენობა;
- კმაყოფილი მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა.

13.4 საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი;

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 595 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. გათვალისწინებულია სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სამიებო სამუშაოების ჩატარება; პროექტების ექსპერტიზა და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება; კონსოლიდირებული ტენდერის გზით გამოვლენილია გამარჯვებული შემსრულებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ გზების (პროექტის ღირებულების 2,347%), შენობების (პროექტის ღირებულების 2,8%) და წყალმომარაგების (პროექტის ღირებულების 3,679%) სისტემების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადებას (ჯამურად 500 000 ლარი).

<p>ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წელს განსახორციელებელი შენობა ნაგებობების მშენებლობის, რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის სამუშაოებისათვის, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.</p>	<p>70,000.0</p>
--	-----------------

<p>(1.სოფ.ლიხაური-სოფ.მაკვანეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-4350 გრძ.მ; 2.სოფელ ბახვის ცენტრიდან-ფამფალეთის ცენტრის გავლით-სოფელ ვაკიჯვრის ცენტრის გავლით დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია -2950 გრძ.მ; 3.ოზურგეთი-ნატანები-ურეკის(კმ 5) შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან ციხისფერდის ცენტრის გავლით სოფელ ფურიანთის ცენტრამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-3950 გრძ.მ; 4.საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზიდან ბოხვაურის ცენტრის გავლით, შემოქმედი-ცხემლისხიდის გზასთან დამაკავშირებელ გზის რეაბილიტაცია-3000 გრძ.მ; 5. ურეკის შემოვლითი (ე.წ "უსკაკალეიკა") გზის რეაბილიტაცია-3500 გრძ.მ. 6. ასკანა-მზიანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია -1600 გრძ.მ)და სხვა.</p>	<p>264,445.0</p>
<p>2019 წელს განსახორციელებელი წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების (სისტემების) მოწყობისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა</p>	<p>165,555.0</p>
<p>სულ:</p>	<p>500 000</p>

2018 წელს ოზურგეთის განაშენიანების გეგმის და მიწათსარგებლობის გეგმების მომზადების მიზნით შეიქმნა „ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი” (სულ დაფინანსება 95 000 ლარი), რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, რაც უზრუნველყოფს სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულებას.

მოსალოდნელი შედეგი:

- შესრულებული და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო პროექტების მაღალი ხარისხი;
- სამშენებლო ნორმებისა და ტექნიკური პირობების შესრულების კონტროლი;

შეფასების კრიტერიუმი:

- ექსპერტთა შეფასება;
- შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა;
- განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების რაოდენობა;

13.5 კეთილმოწყობის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 461 300 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

გრიბობოდოვის ქუჩაზე სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები.	108235
ქალაქ ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა N27-ში მდებარე სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.	77500
ქალაქ ოზურგეთში, სიორიძის ქ. N22-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები	90000
ქალაქ ოზურგეთში, ფ.მეფის ქ. N127-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.	100000
ქალაქ ოზურგეთში, უნივერსიტეტის ქ.N12-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები.	45565
ქალაქ ოზურგეთში, მგზავრთა მოსაცდელეების მოწყობა (4 ერთეული).	40000
სულ:	461 300

მოსალოდნელი შედეგი:

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრებში მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული სივრცის მოწყობა;
- ახალგაზრდებისათვის მიმზიდველი დასვენებისა და გართობის გარემოს შექმნა;
- მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა.

**13.6 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება
(პროგრამული კოდი 03 07)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

მოსალოდნელი სტიქიის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ასიგნებების ოპერატიულად წარმართვა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ეფექტურად განსახორციელებლად.

**13.7 ბინათმშენებლობა
(პროგრამული კოდი 03 08)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 100 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმშენებლობით ამაღნაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების გადახურვა, ფასადების მოწესრიგება, ლიფტების მოწესრიგება, შიდა წყალკანალიზაციის სისტემების შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოები.

იოანე პეტრიწის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამგზავრო ლიფტის რეაბილიტაცია.	24000
ფ.მეფის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამგზავრო ლიფტის რეაბილიტაცია.	24000
გრიბოედოვის ქუჩა N31-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამგზავრო ლიფტის რეაბილიტაცია.	24000

კოსტავას ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სატვირთო ლიფტის რეაბილიტაცია.	26000
იოანე პეტრიწის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სატვირთო ლიფტის შეკეთება.	2000
სულ:	100000

მოსალოდნელი შედეგი:

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 5 მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში მოწესრიგებული ლიფტები;
- მოსახლეობის გაზრდილი უსაფრთხოება.

მუხლი 14. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პრიორიტეტის ბიუჯეტი: 4 000 000 ლარი.

პროგრამის მიზანი:

საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციას.

პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ასევე, ზოგადი, პროფესიული და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა.

14.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ქვეპროგრამისგანმახორციელებელი:

ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 3 800 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ახალი ჯგუფები იქ, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურება. მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 43 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 2 700 ბავშვი. მათ შორის 8 ბაღი 1 078 აღსაზრდელით ფუნქციონირებს ქალაქ ოზურგეთში, ხოლო 35 ბაღი 1 622 აღსაზრდელით - მუნიციპალიტეტის სოფლებში.

მოსალოდნელი შედეგი:

- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი, ბავშვთა სასკოლო მზაობის დონის გაზრდა;
- სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ბავშვების სოციალურ-ემოციური და ფიზიკური განვითარების სრულყოფა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საბავშვო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისთვის სრულფასოვანი სკოლამდელი განათლების მიწოდება;
- სასკოლო მზაობისთვის აღსაზრდელების მომზადების დონე;
- ბაღებში ბავშვების რაოდენობის ზრდა 150- ით, 7 ახალი ჯგუფის დამატების ხარჯზე;

14.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 200 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი, ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის მოსწავლე, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოიპოვა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა (100%), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან წახალისების მიზნით ერთჯერადი გასაცემლის სახით მიიღებს 3000 (სამიათასი) ლარს, სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“-ს მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის საფუძველზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობდა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობის მფლობელი მოსწავლე,

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაფინანსდება 1000 (ათასი) ლარით (თითოეულ წარმატებულ მოსწავლეზე) სკოლის კაპიტალური ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში, მცირე მოცულობის კაპიტალური პროექტების განხორციელება (შშმ პირების გადაადგილებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნა, სველი წერტილების მოწყობა და სხვა).

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეების და ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა ჩართულობა ღონისძიებებში, წარმატებული მოსწავლეებისა და პედაგოგების გამოვლენა-წახალისება, სოციალურად დაუცველი ბავშვების აქტიური ჩართულობა, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლება; სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობა; აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.
- მოსწავლეებში ცოდნის ღონის ამაღლება და ყოფითი პირობების გაუმჯობესება;
- სკოლისათვის აუცილებელი მცირე სარემონტო სამუშაოების დაფინანსება;

შეფასების ინდიკატორი:

- პროგრამაში მონაწილე პირთა რაოდენობა (მოსწავლეებში გაზრდილი მოტივაცია);
- განხორციელებული ღონისძიებების და პროექტების რაოდენობა (20 -მდე საჯარო სკოლაში ჩატარდება მცირე სარემონტო სამუშაოები).

მუხლი 15.კულტურა (პროგრამული კოდი 05 00)

პრიორიტეტის ბიუჯეტი: 4 035 900 ლარი

პროგრამის მიზანი:

კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; მუნიციპალიტეტის ჩართვა სხვადასხვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრის ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა; კულტურის

დაწესებულებებში შშმ პირებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობა; სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.

მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მიერ ასევე კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

15.1.სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ბიუჯეტი: 1 563 900 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციური და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;

15.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამისგანმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 50 000 ლარი.

პროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე საპრიზო ადგილების დაკავებას.

სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. მათ შორის:

- გომისმთობა-სპორტული ღონისძიებების ორგანიზება;
- ნარდის, ჭადრაკის და შაშის ტურნირები მოწყობა (მათ შორის შშმ პირებს შორის);
- წლის საუკეთესო სპორტსმენის დაჯილდოვება;
- შემხვედრი ღონისძიებები: ჩემპიონატი ფრენბურთში მოყვარულთა შორის;
- საერთაშორისო ჩემპიონატი სპორტულ „კაიაკინგში“;
- პროექტი „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“ ჯიპ-ტური „ოფ-როუდში“ ურეკი-გომისმთა;
- „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“;
- რეგიონალური ღონისძიება შ.შ.მ. პირებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში;
- „მოყვარულთა თასი 2019“;
- და სხვა ღონისძიებები;

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტისადმი მიდრეკილების დამკვიდრება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა;
- სპორტულ აქტივობებში ჩართული პირების რაოდენობა ;

15.1.2. სპორტული ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 1 513 900 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა.ა.ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“ – 950 000 ლარი;
- ა.ა.ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“- 213 900 ლარი;
- ა.ა.ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების კავშირი“ - 350 000 ლარი;

მოსალოდნელი შედეგები:

- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის, სპორტისადმი მიდრეკილების დამკვიდრება.
- მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;
- სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენტთა წარმატებული გამოსვლა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა;
- პრიზიორთა რაოდენობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე;
- ჯანსაღი მომავალი თაობა;

15.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ბიუჯეტი: 2 272 000 ლარი.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციასა და მოძრავი გამოფენის მოწყობა. გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

15.2.1. კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 230 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. მათ შორის:

საშობაო მსვლელობა „ალილო“ (7იანვარი)	1000
კალანდობა გურიაში	5000
3 - 8 მარტი, დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება	5000
სოფლის სახალხო დღესასწაული (ყველასთვის ერთად)	25000
ჩვენ, მზე და ლურჯი ზღვა" გალა კონცერტი საკურორტო სეზონის გახსნა	10500
გიორგი სალუქვაძის სახელობის საიუბილეო (10 წლის) ფოლკლორული ფესტივალის ჩატარება	43000
"გომისმთობა"	13000
კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	25000
26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება	4000
"artgenis "ფესტივალში მონაწილეობა	1500
ოზურგეთის კულტურის დღეები ქალაქ თბილისში(art-hall)	1500
სახალხო დღესასწაული -"ექვთიმეობა"	6000
"ალეგრობა - ოზურგეთობა" - სახალხო დღესასწაულის ორგანიზება	34000
შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი	1500
31 დეკემბერი ახალი წლის ღამის კონცერტი,სახალწლო განათებები	15000
სხვა შემხვედრი კულტურული ღონისძიებებისათვის	39000
სულ:	230 000

მოსალოდნელი შედეგები:

- კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება;
- კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა;
- კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა
- კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა, საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ხელოვანების ჩართულობა და მონაწილეობა;
- განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები დამოუკიდებელ ქალაქებთან და კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- მოსახლეობის ინტერესის ზრდა კულტურული ღონისძიებების მიმართ;
- მუნიციპალიტეტის ცნობადობისა და ტურისტების რაოდენობის ზრდა (ფესტივალების ფარგლებში მოწვეული სტუმრები (400 სტუმარი 12 ქვეყნიდან) ;

15.2.2. კულტურის ობიექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2 042 000 ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა:

- ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანება“ – 800 000 ლარი;
- ა(ა)იპ „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლი“ – 156 000 ლარი;
- ა(ა)იპ „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება“ – 182 000 ლარი;
- ა. (ა). ი. პ. „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“ – 180 000 ლარი;
- ა. (ა). ი. პ. „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი“ – 90 000 ლარი;
- ა. (ა). ი. პ. „ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი 108 000 ლარი;
- ა. (ა). ი. პ. „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართულ-ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი-გურია“ - 180 000 ლარი;
- ა. (ა). ი. პ. „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა“ – 88 000 ლარი;
- ა. (ა). ი. პ. „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრიგოლ კილაძის სახელობის მუსიკალური სკოლა“ – 160 000 ლარი;
- ასევე, პროგრამით დაფინანსდება:
- სსიპ „ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი“ – 98 000 ლარი;

მოსალოდნელი შედეგები:

- ქართული კულტურისა და ხელოვნებისადმი ინტერესის ზრდა და ტრადიციების შენარჩუნება;
- სეზონზე მოსალოდნელი ახალი სპექტაკლის რაოდენობის ზრდა. ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- სახვითი ხელოვნების პოპულარიზაცია;
- საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში;
- ნიჭიერი ბავშვების შემოქმედების წარმოჩენა, მათი განვითარების პროცესის ხელშეწყობა;
- კულტურისა და სპორტის, ასევე ქველმოქმედი ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მასობრივი კულტურულ-სანახაობრივი ღონისძიებების რაოდენობა;
- საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- გრანტით დაფინანსებული ახალი სპექტაკლების რაოდენობა;
- აღდგენილი ექსპონატები და გამოფენათა რაოდენობა;
- ქართული კულტურის შედეგების წარმოჩინება და პოპულარიზაცია (გამოფენათა რაოდენობა);
- ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების რაოდენობა.

15.3. ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა (ორგანიზაციული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 80 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას; ტურისტული მარშრუტების დაგეგმარებას; ლამქრობების და სკაუტების ორგანიზებას; ტურისტული დისლოკაციის ადგილების მოწყობას და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ურევში, შეკვეთილში ზღვის სეზონთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები, სეზონის გახსნას და დახურვას, სხვადასხვა სახის ფესტივალების მოწყობას. კურორტ გომისმთაზე სამთო ექსტრემალური სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების ორგანიზებას და ხელშეწყობას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ მესამე ეტაპის წარმატებით შესრულება.

2019 წლისთვის იგეგმება 6 ღონისძიება, მიზანი: გურიის, როგორც ტურისტული რეგიონის პოპულარიზაცია, თანამშრომლობის განვითარება კერძო სექტორსა და მუნიციპალიტეტს შორის. პროფესიონალი კადრების მომზადება მომსახურების სფეროში მაღალი სტანდარტების შესაბამისად, ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, კურორტ გომისმთის, როგორც ტურისტული ობიექტის განვითარება-პოპულარიზაცია.

გიდების გადამზადების ტრენინგი	3 000
ვიდეორგოლი	20 000

ინფოტურის მოწყობა სხვადასხვა სეგმენტისათვის	8 000
ტურიზმის გამოფენებში მონაწილეობის მიღება	5 300
კონფერენცია	3 500
დასუფთავების აქციები სხვადასხვა ტურისტულ ზონებში	300
შეჯიბრება ოფროუდში	5 000
სარეკლამო საინფორმაციო მასალების ბეჭდვა	800
შემხვედრი ღონისძიებები	3 000
კატალოგი (საინფორმაციო-სარეკლამო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ადგილების შესახებ)	7000
ფოტოაპარატი	1500
სარეკლამო ბანერი გომისმთისა და ურეკის შესასვლელში	2000
„CHARETTE” -ის (ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა) თანადაფინანსება	17600
გაუთვალისწინებელი ხარჯები	3000
სულ	80000

მოსალოდნელი შედეგი:

- ტურისტებისათვის ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართვა მცირე ტიპის ტურისტულ ბიზნესში;

შეფასების ინდიკატორი:

- მუნიციპალიტეტის ცნობადობისა და ტურისტების რაოდენობის ზრდა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობის ზრდა;
- პროექტში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა;

15.4. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (ორგანიზაციული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 20 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. ახალგაზრდებისთვის განხორციელდება გასართობი, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ან/და მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას.

მოსალოდნელი შედეგი:

- ახალგაზრდებისათვის განვითარებისა და საზოგადოებაში ადაპტირებისათვის ხელსაყრელი და მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მათი ჩართულობის ზრდა;

შეფასების ინდიკატორი:

- წლის განმავლობაში ქვეპროგრამაში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა;

15.5. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთი ტაძრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მუხლი 16. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

პრიორიტეტის ბიუჯეტი: 1 695 500 ლარი.

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. თვითმმართველობა არსებული

რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

2019 წლის განმავლობაში მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველი ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისებზე.

16.1. ჯანდაცვის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 01).

პროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“;

პროგრამის ბიუჯეტი : 110 000 ლარი;

პროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

მძიმე დაავადებების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

16.1.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 06 01 01).

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

- პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის;
- პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, მათ შორის, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

16.2. სოციალური პროგრამები(პროგრამულიკოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

პროგრამის ბიუჯეტი: 1 585 500 ლარი

პროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურება, მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი:

- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება;
- შეჭირვებული ოჯახების სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება;
- შშმ პირთა თანადგომა;
- იძულებით გადაადგილებული ოჯახების თანადგომა;
- სოციალურად დაუცველი ბავშვების თანადგომა.

შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
- განხორციელებული ღონისძიებები.

16.2.1. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 145 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის მიზნით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა“-ში 100 000 - დან და 150 001-მდე სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით.

16.2.2. დღის ცენტრის დაფინანსება 06 02 02

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მომავლის სხივი“.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 45 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამით გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე ბავშვების თანადაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მომავლის სხივის“ დღის ცენტრის მომსახურებით. ქვეპროგრამის მიზანია დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა.

16.2.3. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 9 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების მატერიალური დახმარება.

დახმარება გულისხმობს ბენეფიციარებისათვის წელიწადში 4 ჯერ (კვარტალში ერთხელ) მატერიალურ დახმარებას თითოეულ ჯერზე 300 ლარის ოდენობით.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა, მატერიალური დახმარების გაცემა, ელექტრონული ბაზის წარმოება.

16.2.4 მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05).

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 300 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

ქვეპროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება, ამ მიმართულებით, ბიუჯეტიდან დაიხარჯება წლის განმავლობაში 72000 ლარი (კვარტლური ლიმიტი 18000 ლარი) კერძოდ:

- 0-დან 150001-მდე სარეიტინგო ქულით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახები მიიღებენ 100 ლარის უნაღდო ანგარიშსწორებას მედიკამენტებზე განმცხადებლის არჩევით (პირად ანგარიშზე ან ფარმაცევტულ დაწესებულებაში).
- 0-დან 150001-მდე სარეიტინგო ქულით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მიიღებენ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურებას თანადაფინანსების სახით, კერძოდ:
- წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით 150 ლარამდე პაციენტის თანაგადახდა დაფინანსდება სრულად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.
- წარმოდგენილი ინვოისის მიხედვით 150 ლარზე მეტი პაციენტის თანაგადახდა დაფინანსდება 50 % - ით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მაგრამ არაუმეტეს 500 ლარის, იმ შემთხვევაში თუ პაციენტის თანაგადახდა ნაკლებია 150 ლარზე, დაფინანსდება 150 ლარით.

შენიშვნა: საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, გეგმიური სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს საქართველოს ტერიტორიაზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულება, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში თუ პაციენტი უარს აცხადებს გეგმიურ სამედიცინო მომსახურებაზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ოზურგეთში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში (გარდა მკაცრი სამედიცინო ჩვენებისა, ჯანმრთელობის ცნობაში არსებული სპეციალური მითითებისა მკურნალობის ჩატარების თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გარეთ საქართველოს მასშტაბით (ან სპეციალიზირებულ კლინიკაში) პაციენტის მხრიდან თანაგადახდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსდება წარმოდგენილი თანაგადახდის 50%-ით არაუმეტეს 150 ლარისა.

16.2.5. „C” ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 06).

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 75 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია, „C” ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება.

არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში, „C” ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც საჭიროებენ დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარებას მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის, დახმარების გაწევა კვლევების ხელმისაწვდომობაში.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსება განხორციელდება საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად, სამედიცინო დაწესებულებაში თანხის გადარიცხვით, კვლევების ღირებულების სრული ოდენობა, არაუმეტეს 200 ლარისა.

16.2.6. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 25 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული პირების დახმარება სატრანსპორტო ხარჯების შემსუბუქების მიზნით.

დახმარება გულისხმობს ბენეფიციარებისათვის ყოველ კვარტალურად თანხის გადარიცხვას 150 ლარის ოდენობით. ასევე, პერიტონიალურ შემთხვევებზე-თბილისში ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

16.2.7. ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08).

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 140 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

პროგრამით ისარგებლებენ „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა“-ში ჩართული მოქალაქეები საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, რომლებიც შესაძლებელია დაფინანსდეს განმეორებით).

პროგრამა გულისხმობს ბენეფიციარებისათვის სამედიცინო დაწესებულებაში თანხის გადარიცხვას ოპერატიული და სხვა სახის მკურნალობის ჩატარების მიზნით, შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით:

- ინვოლით ასანაზღაურებელი პაციენტის თანაგადახდის 50%, არაუმეტეს 600 ლარისა, (იმ შემთხვევაში თუ პაციენტის თანაგადახდა ნაკლებია 200 ლარზე, დაფინანსდება 200 ლარით.)
- დაფინანსების ქვედა ზღვარი არის 200 ლარი.
- იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის მიერ ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა არ აღემატება 200 ლარს, ანაზღაურება განხორციელდება მოთხოვნილი თანხის სრული ოდენობით.
- იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარს დაავადების სამკურნალოდ ესაჭიროება მედიკამენტი, მას უფლება ეძლევა მოითხოვოს 200 ლარის მედიკამენტი წლის განმავლობაში ერთხელ, რასაც ის მიიღებს ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვის გზით.
- განმეორებითი თანადაფინანსება მოხდება ასანაზღაურებელი თანხის 50%-ის ოდენობით, არაუმეტეს 350 ლარისა.

16.2.8. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 213 900 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წელს გადაცილებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაფინანსება, რომლებიც სარგებლობენ საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“, არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის „დღის ცენტრის“ მომსახურებით.

პროგრამა ითვალისწინებს:

ა) ბენეფიციართა „დღის ცენტრში“ ტრანსპორტირებას;

ბ) ბენეფიციართა ყოველდღიურ მომსახურებას კვებით;

გ) ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებას და

მედიკამენტებით უზრუნველყოფას;

დ) ბენეფიციართა სანიტარულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფას;

ე) სხვა აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფას;

ვ) ზაფხულის სეზონზე, ბენეფიციარებისათვის სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“, არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა ერთ ბენეფიციარზე, ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, (I ჯგუფი, მხოლოდ მხედველობით შშმ პირები), უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად, ფულადი დახმარებით 250 ლარის ოდენობით; მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებს წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით (II ჯგუფი მხოლოდ მხედველობით შშმ პირები) .
2. მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს (გარდა მხედველობით შშმ პირებისა)) უფლება აქვთ მიიღონ წელიწადში ერთხელ 100 ლარი პირად ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.
3. ასევე გათვალისწინებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით, წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება.

16.2.9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 13 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ოჯახების სათბობით უზრუნველყოფის მიზნით მატერიალური დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებით რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯებისათვის, გარდაცვლილის ოჯახის ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით.

16.2.10. სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 18 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

„სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დაკრძალვის ხარჯებისათვის, გარდაცვლილის ოჯახის ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

16.2.11. სოციალური ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 50 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ტრადიციულ დღესასწაულებთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარებისათვის სურსათით და სხვა სახის დახმარების გაწევა, ღირშესანიშნავი დღეებისა და თარიღების აღნიშვნა, ღონისძიებების მოწყობა შესაბამისი კატეგორიის ღვაწლმოსილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დ) განსახორციელებელი ღონისძიებები:

N	ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ხარჯი	სულ ხარჯები (ათას ლარში, 12 თვე)
1	3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის		5 000
2	9 მაისს, ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის	ბენეფიციარი	7 ვეტერანი	ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 500	3500

	მატერიალური დახმარება და საზეიმო მიღების მოწყობა			ლარი	
3.	8 აგვისტო, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომარის ოჯახის ფინანსური დახმარება	ბენეფიციარი	1 ბენეფიციარი	ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 500 ლარი	500
4	27 სექტემბერი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების (სამაჩაბლო-აფხაზეთის ომი) ოჯახების მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	20 ბენეფიციარი	ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 500 ლარი	10 000
5	100 და მეტი წლის ხანდაზმულთა დახმარება	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის	ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 500 ლარი	2000
6	3 დეკემბერი, შშმ პირთა საერთაშორისო დღე				2 000
7	ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებისა და თაიგულების შექმნა ღონისძიებების ხარჯები, ასევე სხვა დაუგეგმავი სოციალური ღონისძიებები (შინმოვლის პროგრამა 9000 ლარი, გვირგვინები და თაიგულები 8700 ლარი, სხვა შემხვედრი ღონისძიებები 9300 ლარი).				27 000

16.2.12. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 13).

ქვეპროგრამის განმახორციელებელი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 290 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ან/და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისთვის ბინის ქირის საფასურით უზრუნველყოფა და საცხოვრებელი სახლის დაზიანების შემთხვევაში სამშენებლო მასალებით დახმარება. ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის წლის განმავლობაში აღნიშნული მუხლიდან დაიხარჯება არაუმეტეს 95400 ლარისა.

16.2.13. სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი (პროგრამული კოდი 06 02 14)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 30 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა: სასწრაფო სამედიცინო ოპერაციებისათვის, სასწრაფო სამედიცინო კვლევებისათვის, ქვეყნის ფარგლებში სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიზნით გადაადგილებისათვის (რეანომობილით მომსახურებისათვის იმ შემთხვევაში როცა აღნიშნული არ იფარება რომელიმე პროგრამით), ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებისათვის (მხოლოდ ტრანსპორტირების ნაწილში) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იმ პირთა (ოჯახთა) ერთჯერადი ფულადი სახით დახმარებას (არაუმეტეს 500 ლარისა), რომლებმაც ვერ ისარგებლეს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებით .

სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი (სამედიცინო თანადაფინანსება, რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების სხვა პროგრამაში) (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხის 50% არაუმეტეს 500 ლარისა), ასევე არაპროგრამული რეფერალური მომსახურება (არაუმეტეს 500 ლარისა).

16.2.14. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 15)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 20 000 ლარი.

ღონისძიების აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირების მიმართ ძალადობის პრევენცია, გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გაცნობა მათი საზოგადოებასთან შემდგომი ინტეგრირების მიზნით.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ა) სტატისტიკური მონაცემების მოკვლევა;
- ბ) ბენეფიციართა შერჩევა ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების მიხედვით;
- გ) საპრევენტაციო ბანერის, ბუკლეტებისა და ფლაერების დამზადება;
- დ) სკრინინგ-ჯგუფების ჩამოყვანა და მოსახლეობისათვის უფასო კვლევების ჩატარება;

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეებს დაეხმაროს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, ხელი შეუწყოს ქალების მეტ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ძალადობის მსხვერპლ ქალებს გაეწევა პროფესიული დახმარება გადატანილი ფსიქოლოგიური ტრამვებისა და კრიზისის დამლევაში, ჩატარდება სკრინინგ ჯგუფის მიერ გამოკვლევები.

**16.2.15. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა
(პროგრამული კოდი 06 02 16)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 118 500 ლარი.

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების მიზნით მათი ყოველდღიური ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა.

16.2.16. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 17)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური, ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 13 100 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“-ს ადმინისტრირებაში ოზურგეთში, მეცნიერების ქ. #16-ში მდებარე „ხანდაზმულთა სახლი“-ს კომუნალური გადასახადების დაფინანსება.

„ხანდაზმულთა სახლი“-ს მოზინადრეთა მიერ გახარჯული ბუნებრივი აირის თანხის ანაზღაურებაწარმოდგენილი მოხმარებული კომუნალური მომსახურების დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

16.2.17. ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 18)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 30 000 ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0 - დან 100 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 200 ლარის ფარგლებში წელიწადში ერთხელ ძვირადღირებულ კვლევაზე (კომპიუტერული ტომოგრაფია და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია). ბენეფიციარებს, რომელთაც აღნიშნული კვლევა უფინანსდებათ საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში (ან სხვა პროგრამით), კარგავენ ამ მუხლით სარგებლობის უფლებას.

16.2.18. სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 19)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 50 000 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

პროგრამის მიზანია სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში, რომლებიც „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა“-ში რეგისტრირებულნი არიან 0-დან 70001- მდე სარეიტინგო ქულით, 0-დან 1 წლამდე ახალშობილის მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 100 (ასი) ლარის ოდენობით .

შენიშვნა: დახმარების გაწევა დაიწყება საბუთების წარმოდგენის თვიდან და გაგრძელდება მანამ, სანამ ბავშვის ასაკი მიაღწევს 1 წელს.

მუხლი 17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები თანდართული რედაქციით:

org. kodi	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	36750.6	33133.5	10679.2	22454.3	24186.8	0.0	24186.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	230.0	0.0	230.0	230.0	0.0	230.0
2.	ხარჯები	21102.9	17355.4	431.3	16924.1	18570.6	0.0	18570.6
2.1.	შრომის ანაზღაურება	3226.6	3409.8	0.0	3409.8	3540.6	0.0	3540.6
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	15637.4	15778.1	10247.9	5530.2	10497.2	0.0	10497.2
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	4711.5	4828.3	0.0	4828.3	5080.0	0.0	5080.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	230.0	0.0	230.0	222.0	0.0	222.0
2.	ხარჯები	4565	4666.1	0.0	4666.1	5030.0	0.0	5030.0
2.1.	შრომის ანაზღაურება	3112.2	3288.6	0.0	3288.6	3428.4	0.0	3428.4
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	136.2	162.2	0.0	162.2	50.0	0.0	50.0
01 01	ოზურგეთის საკრებულო	1137.4	1080.0	0.0	1080.0	1200.0	0.0	1200.0

	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	21.0		21.0	21.0		21.0
2.	ხარჯები	1132.4	1070.0	0.0	1070.0	1190.0	0.0	1190.0
2.1.	შრომის ანაზღაურება	747.2	794.4	0.0	794.4	828.4	0.0	828.4
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	5	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
01 02	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია	3167.2	3188.3	0.0	3188.3	3400.0	0.0	3400.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	209.0		209.0	201.0		201.0
2.	ხარჯები	3025.7	3036.1	0.0	3036.1	3360.0	0.0	3360.0
2.1.	შრომის ანაზღაურება	2365	2494.2	0.0	2494.2	2600.0	0.0	2600.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	131.2	152.2	0.0	152.2	40.0	0.0	40.0
01 03	სარეზერვო ფონდი	299.9	350.0	0.0	350.0	350.0	0.0	350.0
2.	ხარჯები	299.9	350.0	0.0	350.0	350.0	0.0	350.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	36.5	210.0	0.0	210.0	130.0	0.0	130.0
2.	ხარჯები	36.5	210.0	0.0	210.0	130.0	0.0	130.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	158.8	148.0	0.0	148.0	143.0	0.0	143.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	10.0	0.0	10.0	8.0	0.0	8.0
2.	ხარჯები	157.8	148.0	0.0	148.0	143.0	0.0	143.0
2.1.	შრომის ანაზღაურება	114.4	121.2	0.0	121.2	112.2	0.0	112.2
02 01	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების განყოფილება	0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	0	0.0			0.0		
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	158.8	148.0	0.0	148.0	143.0	0.0	143.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0	10.0		10.0	8.0	0.0	8.0
2.	ხარჯები	157.8	148.0	0.0	148.0	143.0	0.0	143.0
2.1.	შრომის ანაზღაურება	114.4	121.2	0.0	121.2	112.2	0.0	112.2
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	24,176.2	19,459.2	10,679.2	8,780.0	9,232.4	0.0	9,232.4
2.	ხარჯები	8,676.0	4,023.3	431.3	3,592.0	3,666.2	0.0	3,666.2
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	15500.2	15435.9	10247.9	5188.0	5566.2	0.0	5566.2
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	3,829.2	648.9	57.4	591.5	585.0	0.0	585.0

2.	ხარჯები	313.9	291.5	0.0	291.5	285.0	0.0	285.0
03 01 01	გზების რეაბილიტაცია	3,752.6	557.4	57.4	500.0	500.0	0.0	500.0
2.	ხარჯები	237.3	200.0	0.0	200.0	200.0	0.0	200.0
03 01 02	მუნიციპალური ტრანსპორტი	76.6	91.5	0.0	91.5	85.0	0.0	85.0
2.	ხარჯები	76.6	91.5	0.0	91.5	85.0	0.0	85.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	15329.8	14,675.1	7,852.1	6,823.0	6,111.1	0.0	6,111.1
2.	ხარჯები	4391.9	3,110.0	0.0	3,110.0	3,156.2	0.0	3,156.2
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	10937.9	11565.1	7852.1	3713.0	2954.9	0.0	2954.9
03 02 01	კომუნალური მომსახურების ცენტრი	3188.7	2100.0	0.0	2100.0	2126.2	0.0	2126.2
2.	ხარჯები	3188.7	2100.0	0.0	2100.0	2126.2	0.0	2126.2
03 02 02	ინფრასტრუქტურის სამუშაოები	11295	11,565.1	7,852.1	3,713.0	2,954.9	0.0	2,954.9
2.	ხარჯები	358.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	10936.7	11565.1	7852.1	3713.0	2954.9	0.0	2954.9
03 02 03	ელექტროენერჯის ხარჯი	503.1	590.0	0.0	590.0	550.0	0.0	550.0
2.	ხარჯები	501.9	590.0	0.0	590.0	550.0	0.0	550.0
03 02 04	წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	343	420.0	0.0	420.0	480.0	0.0	480.0
2.	ხარჯები	343	420.0	0.0	420.0	480.0	0.0	480.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	38	15.1	5.1	10.0	1380.0	0.0	1380.0
2.	ხარჯები	0	10.0	0.0	10.0	30.0	0.0	30.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	38	5.1	5.1	0.0	1350.0	0.0	1350.0
03 04	საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა	50	600.0	0.0	600.0	595.0	0.0	595.0
2.	ხარჯები	50	100.0	0.0	100.0	95.0	0.0	95.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	500.0	0.0	500.0	500.0	0.0	500.0
03 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	343.2	675.0	0.0	675.0	461.3	0.0	461.3
2.	ხარჯები	2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
61.	არაფინანსური აქტივების ზრდა	341.2	675.0	0.0	675.0	461.3	0.0	461.3

03 06	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი	72	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	72	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
03 07	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	2650.7	2,764.6	2,764.6	0.0	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	1982.9	431.3	431.3	0.0	0.0	0.0	0.0
03 08	ბინათმშენებლობა	1863.3	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0
2.	ხარჯები	1863.3	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0
04 00	განათლება	3201	3500.0	0.0	3500.0	4000.0	0.0	4000.0
2.	ხარჯები	3201	3500.0	0.0	3500.0	4000.0	0.0	4000.0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	3078	3400.0	0.0	3400.0	3800.0	0.0	3800.0
2.	ხარჯები	3078	3400.0	0.0	3400.0	3800.0	0.0	3800.0
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	123	100.0	0.0	100.0	200.0	0.0	200.0
2.	ხარჯები	123	100.0	0.0	100.0	200.0	0.0	200.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2915.8	3613.0	0.0	3613.0	4035.9	0.0	4035.9
2.	ხარჯები	2915.8	3433.0	0.0	3433.0	4035.9	0.0	4035.9
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	785.7	1181.0	0.0	1181.0	1563.9	0.0	1563.9
2.	ხარჯები	785.7	1181.0	0.0	1181.0	1563.9	0.0	1563.9
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	10.4	35.0	0.0	35.0	50.0	0.0	50.0
2.	ხარჯები	10.4	35.0	0.0	35.0	50.0	0.0	50.0
05 01 02	სპორტული ობიექტების დაფინანსება	775.3	1146.0	0.0	1146.0	1513.9	0.0	1513.9
2.	ხარჯები	775.3	1146.0	0.0	1146.0	1513.9	0.0	1513.9
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1935.9	2200.9	0.0	2200.9	2272.0	0.0	2272.0
2.	ხარჯები	1935.9	2020.9	0.0	2020.9	2272.0	0.0	2272.0
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა	216.1	360.0	0.0	360.0	230.0	0.0	230.0
2.	ხარჯები	216.1	180.0	0.0	180.0	230.0	0.0	230.0
05 02 02	კულტურის ობიექტების დაფინანსება	1719.8	1840.9	0.0	1840.9	2042.0	0.0	2042.0
2.	ხარჯები	1719.8	1840.9	0.0	1840.9	2042.0	0.0	2042.0
05 03	ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	134.2	121.1	0.0	121.1	80.0	0.0	80.0
2.	ხარჯები	134.2	121.1	0.0	121.1	80.0	0.0	80.0
05 04	ახალგაზრდული პროგრამები	10	10.0	0.0	10.0	20.0	0.0	20.0
2.	ხარჯები	10	10.0	0.0	10.0	20.0	0.0	20.0
05 05	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0

2.	ხარჯები	50	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1587.3	1585.0	0.0	1585.0	1695.5	0.0	1695.5
2.	ხარჯები	1587.3	1585.0	0.0	1585.0	1695.5	0.0	1695.5
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	98.5	115.2	0.0	115.2	110.0	0.0	110.0
2.	ხარჯები	98.5	115.2	0.0	115.2	110.0	0.0	110.0
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	98.5	115.2	0.0	115.2	110.0	0.0	110.0
2.	ხარჯები	98.5	115.2	0.0	115.2	110.0	0.0	110.0
06 02	სოციალური პროგრამები	1488.8	1469.8	0.0	1469.8	1585.5	0.0	1585.5
2.	ხარჯები	1488.8	1469.8	0.0	1469.8	1585.5	0.0	1585.5
06 02 01	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარება	139.9	143.5	0.0	143.5	145.0	0.0	145.0
2.	ხარჯები	139.9	143.5	0.0	143.5	145.0	0.0	145.0
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება	43.1	47.8	0.0	47.8	45.0	0.0	45.0
2.	ხარჯები	43.1	47.8	0.0	47.8	45.0	0.0	45.0
06 02 03	მცირე ტიპის ბავშვთა სახლის თანადაფინანსება	9	9.0	0.0	9.0	0.0	0.0	0.0
2.	ხარჯები	9	9.0	0.0	9.0	0.0	0.0	0.0
06 02 04	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება	2.5	6.0	0.0	6.0	9.0	0.0	9.0
2.	ხარჯები	2.5	6.0	0.0	6.0	9.0	0.0	9.0
06 02 05	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება	161.1	303.0	0.0	303.0	300.0	0.0	300.0
2.	ხარჯები	161.1	303.0	0.0	303.0	300.0	0.0	300.0
06 02 06	„C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება	123.7	75.0	0.0	75.0	75.0	0.0	75.0
2.	ხარჯები	123.7	75.0	0.0	75.0	75.0	0.0	75.0
06 02 07	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება	19.2	21.0	0.0	21.0	25.0	0.0	25.0
2.	ხარჯები	19.2	21.0	0.0	21.0	25.0	0.0	25.0
06 02 08	ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება	61.5	130.0	0.0	130.0	140.0	0.0	140.0
2.	ხარჯები	61.5	130.0	0.0	130.0	140.0	0.0	140.0
06 02 09	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	146.6	139.9	0.0	139.9	213.9	0.0	213.9
2.	ხარჯები	146.6	139.9	0.0	139.9	213.9	0.0	213.9

06 02 10	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იმულებით გადადგილებულ პირთა დახმარება	14.2	13.0	0.0	13.0	13.0	0.0	13.0
2.	ხარჯები	14.2	13.0	0.0	13.0	13.0	0.0	13.0
06 02 11	სარიტუალო დახმარება	3.7	8.0	0.0	8.0	18.0	0.0	18.0
2.	ხარჯები	3.7	8.0	0.0	8.0	18.0	0.0	18.0
06 02 12	სოციალური ლონისძიებები	129.4	42.0	0.0	42.0	50.0	0.0	50.0
2.	ხარჯები	129.4	42.0	0.0	42.0	50.0	0.0	50.0
06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება	439.3	290.0	0.0	290.0	290.0	0.0	290.0
2.	ხარჯები	439.3	290.0	0.0	290.0	290.0	0.0	290.0
06 02 14	სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი	87	50.0	0.0	50.0	30.0	0.0	30.0
2.	ხარჯები	87	50.0	0.0	50.0	30.0	0.0	30.0
06 02 15	გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა	0	14.0	0.0	14.0	20.0	0.0	20.0
2.	ხარჯები	0	14.0	0.0	14.0	20.0	0.0	20.0
06 02 16	მზრუნველობამოკლებ ულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	98.5	118.5	0.0	118.5	118.5	0.0	118.5
2.	ხარჯები	98.5	118.5	0.0	118.5	118.5	0.0	118.5
06 02 17	ხანდაზმულთა სახლისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა	10.1	13.1	0.0	13.1	13.1	0.0	13.1
2.	ხარჯები	10.1	13.1	0.0	13.1	13.1	0.0	13.1
06 02 18	ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება	0	21.0	0.0	21.0	30.0	0.0	30.0
2.	ხარჯები	0	21.0	0.0	21.0	30.0	0.0	30.0
06 02 19	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შემენსათვის ყოველთვიური დახმარება	0	25.0	0.0	25.0	50.0	0.0	50.0
2.	ხარჯები	0	25.0	0.0	25.0	50.0	0.0	50.0

თავი III

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 18.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 19.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 20.

2019 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 21.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი, დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 22

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ელექტრონული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს

გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.